წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | შაბათი 13 თებერვალი 1916 წ. | № 34

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] ოთხ. 15 კ., უკანასკნელზე — 10 კ. **კანონიერის გარეშე მიღებულ-განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტ. ამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

პირველი წელი | **პირველი წელი**

„საქართველო“-ს რედაქციის თანხმობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თებათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

ეს ფასდაწევა ხელის მოწერის მოგებულია

აბრამ ილიას ძე ტურიაშვილი, მეუღლე მისი **მარიამ სპირიდონის ასული** და **მათი** შვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობი დედის მაგიერ მოამაგე

სოფიო გიორგის ასულის ხარაშვილის

გარდაცვალებას, ქ. სიღნაღში, 9 ამა თებერვალს. წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ტაძარში შაბათს, 13 თებერვალს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

(2—107—1)

ილია მიხეილის ძე ხარაშვილი, მეუღლე მისი მართა ალექსანდრეს ასული და **მათი შვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. სიღნაღში გარდაიცვალა პირველისა დედა მეორისა—დედამთილი, ხოლო უკანასკნელთა დიდი დედა

სოფიო გიორგის ასული ხარაშვილისა

დაკრძალვა მოხდება ქ. სიღნაღის წმ. გიორგის ტაძარში შაბათს, 13 თებერვალს. თბილისში წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში შაბათს, 13 თებერვალს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

სამშაბათს 16 თებერვალს 1916 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მადამ სან-ჟენ

კომ. 4 მოქ. სარდუსი, თარგმ. **კ. მესხისა.**

მოწვეულებას მიიღებენ: აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ. თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ნ., სინაურიძე ო., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ალ. იშხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, მამფორია ილ. უოვიძე იოს., სარაული მ. ვარვარიძე ვ., ვარვარიძე ვ. ანდრონიკაშვილი კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

მორიგი წევრი გამგეობისა: **ნ. ერისთავი.**

ადგილების ფასი 25 კ.-დან 1 „მან.50 კ.-დე“.

შემდეგი წარმოდგენა **მადამ სან ჟენ** (3—45—1)

განცხადება

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საგჯო

ამით აუწყებს „ახალი „კლუბის“ წევრთ, რომ რადგანაც დანიშნული

წლიური კრება

ამა თვის 2-ს არ შესდგა მეორედ დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 12 ს. კლუბის წესდების მე-29 მუხლის ძალით კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: 1) მამასახლისთა საბჭოს 1915 წლის მოქმედების ანგარიში; 2) მიმდინარე 1916 წლის შემოსავალ-გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა; 3) მიმდინარე საქმეები და 4) აირჩევნები: 1) მამასახლისთა, 2) სარევიზიო კომისიის წევრთა, 3) კლუბის წევრთა და 4) მუდმივ მოსიარულეთა. (3—55—2)

კვირას, 14 თებერვალს

სახაზინო თეატრში

იმართება

ფიო მღვიმელის

სადღესასწაულო დილა

დაწვრილებით პროგრამებში.

დარჩენილი ბილეთები იყიდება საჩაიე „ძმურ ნუგეშში“

ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე, საღამოს 6—11 საათამდე **14-ს სახაზინო თეატრის კასაში.**

ფასები ჩვეულებრივია.

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

ფეფის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

იბეჭდება და 14 თებერვალს გამოვა ალმანახი

„ცისფერი ქანწეები“

შინაარსი: 1. **პაოლო იაშვილი:** პირველთქმა ლიტერატურული მანიფესტი.

2. **პოეზია:** გრ. რობაქიძე, ი. გრიშაშვილი, ელენე დარიანი, გ. ტაპიძე, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. ყიფიანი და პ. იაშვილი.

არტ. ჭუმბაძე—ნაწყვეტი რომანიდან.

ნ. ლორთქიფანიძე—ზღაპარი.

ალ. ცირეკიძე—მინიატიურა.

აკაკი ფალავა—„თეატრი“.

3. **კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, შენიშვნები.**

ყდა—ლადო ჯაფარიძისა.

(3—58—2)

მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა

კიკნა-ფშაველის

პოემათა და ლექსთა კრებული—ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილით.

ეღირება ათ შაურად.

ხელის მოწერა შეიძლება—თბილისში: **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში; **ალ. შარიკაძესთან**—ტრამვაის მოსამახურეებში; **საშუალო სასწავლებლებში; გ. ქუჩიშვილთან**—ქ. კულტ. მოყვ. საზ.; **ალ. ძაძამიასთან**—რკინის გზის სახელოსნოში და კერძო აგენტებთან. **თელავში**—**ნ. გოგოლაძესთან**—წ.-კ. გამ. საზ. მაღაზ.; **თიონეთში**—**ი. რიბალაშვილთან**—აფთიაქში; **გორში**—**თამ. მაკალატიასთან; ჩოხატაურში**—**აფთ. ცინცაძესთან; პეტროგრადში**—**სტუ. ცირგიკაძესთან; ხარკოვში**—**სტუდ. ალ. გრიგოლიასთან; დორპატში**—**სტუდ. გრ. ხერხეულიძესთან; მოსკოვში**—**სტუდ. ხაჩიძესთან** და სხვა დაბა-ქალაქებში.

„ახალი კლუბი“

ერთი კვირის პროგრამა 12—14 თებერვლამდე 1916 წ.

პარასკევი—სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი.

შაბათი—ოპერეტკა—ქართულ ენაზე, ოპერეტკაზე შესვლა უფასოა.

კვირა—კონცერტი მომღერალთა გუნდის მიერ, მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, დაწვრილებით პროგრამაში.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათ., სპექტაკლისა, ოპერეტკების და სინემატოგრაფისა საღ. 8 საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, საოჯახო საღამოს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 55 კ.

(6—51—5)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხაილოვის პროსპექტი (ყოფილი აპოლო) № 129—131.

გასართობი დღეების განაწილება:

ხუთშაბათი: 11 თებერვალი. კონცერტი ძმათა **სენკევიჩებისა.**

პარასკევი: 12 „ სინემატოგრაფი. საზანდარი.

შაბათი: 13 „ კონცერტი კარმენ-სოლიარისა (სოპრანო).

კვირა: 14 „ კონცერტი ბ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით.

შესვლა სტუმართა საზოგადო წესით

დასაწყისი სრულს 9 ს. საღამოთი.

(2—53—1)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლოს ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი

მ. დ. ღინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლოს ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

თბილისი, 13 თებერვალი

სახელმწიფო სათათბიროს სხდომას ღღევანდელი მომენტი ისტორიულს ხასიათს აძლევს. განსაკუთრებით პირობებში ჩავარდნილი, ომის მიერ სახე შეცვლილი, ცხოვრება აქა ნახავს ხოლმე თავის გამოსახვას, რამდენადაც რუსეთის პოლიტიკური სინამდვილე ამისთვის ნებას აძლევს.

სახელმწიფო სათათბიროში ხვდება ერთმანეთს ოფიციალი რუსეთი მთავრობის სახით და რუსეთის საზოგადოებრივი აზრი თავის მრავალფეროვანი სახით. ეს შეხვედრა ერთნაირი ფოკუსია, სადაც გიდაიშლება ხოლმე რუსეთის სანამდვილე და მისი მომავალი იმედები.

სახ. სათათბიროს ასეთ მნიშვნელოვან მუშაობის დროს ჩვენ განსაკუთრებით ერთი რამ გვაინტერესებს, ეს გახლავთ ეროვნული საკითხი და ის კურსი, რომელსაც სახელმწიფო სათათბირო იჭერდა ამ საკითხის გადაწყვეტაში. განსაკუთრებით ყურადღების ღირსად ვთლიდით და ვსთვლით ამ საკითხს, იმიტომ, რომ ისეთი ეროვნული შემადგენლობის ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, ეროვნულ საკითხის მოწესრიგებას არსებითი ადგილი უჭირავს და გადამწყვეტი ხასიათი უნდა ჰქონდეს მომავალ ცხოვრების მოწყობაში.

ვიცით, რაც თქმულა დღემდის ამის შესახებ სახელმწიფო სათათბიროში. სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელთ თავისი ერის ერთგულება, დღეს უკვე ბრძოლის ველზე საუკეთესო შვილთა მიერ დაღვრილ სისხლით განმტკიცებული, მიჰქონდათ სახელმწიფო ტრიბუნაზე, მთავრობის წარმომადგენელნიც მადლობით იღებდნენ ამას და წყალობით იხსენიებდნენ. დღეს უეჭველია მომენტი უფრო გადაჭრილს პასუხს, ლითონ უფლებრივს სიტყვას მოითხოვს. არ ვიცით რას იტყვიან ერთა წარმომადგენელნი, მაგრამ იმან კი, რაც მთავრობის წარმომადგენელმა ბრძანა სეფე სიტყვაში, ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. შტიურმერმა საჭიროდ სცნო გორემიკინის „მადლობისა, წყალობისა და ყურადღებისათვის“ პატარა ერთა მიმართ უფრო უფერული ზოგადი სახე მიეცა. მხოლოდ პოლონეთი შეადგენს გამონაკლისს ამ საერთო, ზოგადი ფორმულიდამ. დიდ „სლავიანურ“ იდეის განსამტკიცებლად მინისტრი საჭიროდ სცნობს ომის შემდეგ პოლონეთისათვის დაარსებულ ავტონომიის აღდგენას.

დღევანდელ პირობებში ასეთი დაპირება მეტად საეჭვო ღირებულობის თამასუქს შეადგენს. ერი, რომელიც დღეს ბაბილონის ტყვეობას განიცდის მთელ რუსეთში გაფანტული, ცხოვრება დანგრეული და კერა ჩაქრობილი, სწორედ დღეს საჭიროებს ისეთს პირობებს, რომელიც საშუალებას მისცემს აღდგენისას.

მარტო პოლონეთი არ არის დღეს ასეთ ყოფაში. მათ უმწეო მდგომარეობას ცოტად თუ ბევრად ყველა განიცდის. ყველგან ისეთმა იარებმა დაღღეს პირი, რომელთაც განსაკუთრებითი მალამო სჭირდებათ. თუნდა ჩვენ ქართველებმა რითი ვინუგეშოთ თავი, რითი ავინაზღაუროთ დანაკლისი, როგორ, რა პირობებში აღვადგინოთ დანგრეული ცხოვრება? პასუხი ერთია. უნდა მიეცეს სარბიელი იმ შემოქმედებითს ძალას, რომელიც თვით ერმა გამოიჩინა საკუთარ წყლულის და სახელმწიფო გასაჭირის დასაძლევად. ჩვენი შემოქმედება დღეს უთუოდ, გაათკეცებულია და ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენ ცხოვრებაზე უარი არ გვითქვამს, ცხოვრება კი გასაჭირს გასაჭირზე გვაყენებს. ეს გაათკეცებული და აზღვავებული ენერგია უკულ-

მართობის დასაძლევად შესაფერს პოლიტიკურს სარბიელს მოითხოვს, რომელსაც ეროვნული თვითმართველობა ეწოდება.

ეს არის აუცილებელი მოთხოვნილება დღევანდელი მომენტისა და უცილობელი გზა მომავალ ბედნიერებისაკენ

მიმავალი. ღრმათა გვრწამს, რომ ნამდვილმა ალღოს აღებამ უნდა შესცვალოს ასეთი იდეოლოგია და სულ სხვა ლოზუნგი აღიაროს ერების განთავისუფლებისა—უნდა ამოიტანოს ცხოვრების სინამდვილის უფსკრულიდამ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

11 თებერვალი.

ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡᲐ

ᲞᲔᲢᲠᲝ�გᲠᲐᲓᲘ. დასავლეთის ასპარეზი. ოფიციალი. რიგის რაიონში და დვინ-ოგერ-პრობოტინპფში გერმანელთა ჰაეროპლანები დათარეშობენ და ყუმბარებს ჰყრიან. ოგერის რაიონში ღამით გერმანელებმა სასტიკი სროლა ასტეხეს, თანაც მზვერავი რაზმები გამოუშვეს თეთრი ჩაღრებით, მაგრამ რუსებმა უკან გარეკეს. დვინსკის პოზიციებზე პონევეჟეს რაიონში, ჩარტორისკის ჩრდილოეთით, რუსებმა უკან დაახევინეს მტერს და წინ წაიწიეს. პელეუის რაიონში, ოლიკის სამხრეთ-დასავლეთით, მტერს საშიშ ადგილებში ქალები გამოჰყავს პოზიციებზე. ჰფიქრობენ, რუსი ქალები უნდა იყვნენ ესენი. ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში, სოფ. გლიადკისთან და ვორობიევკასთან რუსებმა ნაღმი ააფეთქეს და კიდეც დაიჭირეს აფეთქებული ადგილი. ამ ადგილის დასაბრუნებლად მტერი ყუმბარებს ისვროდა, თანაც ერთგვარი ტყვია დაუშინა, რომელიც პროპელერის მზგავს ხმაურობას აყენებდა. მიხალეჩთან მტერი სცდილობდა დაკარგულ თხრილის დაბრუნებას, შიგ ცრემლის მდენ ყუმბარებს ისვროდა, მაგრამ ვერას გახდა.

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ. რუსთა წყალქვეშა ბოსფორთან გაჩნდა. მტერმა ორჯელ იერიში მიტანა მაზე, მაგრამ მაინც ვერ დაჰღუპა. წყალქვეშამ დაჰღუპა ოსმალთა ხომალდი, რომელიც ნახშირით იყო დატვირთული.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ. რუსები განაგრძნობდნენ ოსმალთა დევნას.

—

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 10 თებერვალი. საღამოს ოფაციალი ცნობა. ბელგეთში ფრანგების არტილერიამ რამდენიმე ადგილას შეარღვია გერმანელთა სანგრები, რომელიც სტენსტრეგის პირდაპირ იყო გამართული. მდ. ენის ჩრდილოეთით ფრანგების ბატარეებმა კოველერის გზაზე გაანადგურეს გერმანელთა ბატარეები. ვერდენის რაიონში გერმანელთა იერიში თანდათან ვითარდება. იგი, როგორც ფრანგები მოელოდნენ, დიდი ბრძოლის ხასიათს ღებულობს. დღეს ბრძოლა გაგრძელდა მომატებულის სიფიცხით და სიმკაცრით. ფრანგის ჯარები ენერგიულად იბრძოდენ და მოპირდაპირეს დიდ ზარალს აძლევდენ. დიდ ყალიბის ზარბაზანთა განუწყვეტელი სროლა, რომლის დროსაც ფრანგების არტილერია თანასწორის სიმკაცრით უპასუხებდა მოპირდაპირეს, ბრძოლის პირს ორმოცი კილომეტრის სიგრძეზე მოედო, ე. ი. ეს ულმობელი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს მელენკურსა და მდ. ენაზე მდებარე ადგილ შორის. ბრაბან-სიურ-მეზსა და ორან შორის მთელი დღის განმავლობაში გერმანელთა მეტ რიცხოვან ქვეითი ჯარს ფრანგებზე იერიში იერიშზე მიჰქონდა.

გერმანელთა ეს მოიერიშე ჯარი შვიდი სხვა და სხვა კორპუსის ჯარისკაცებისაგან შესდგებოდა. მიუხედავად ყოველ ღონისძიებისა სოფელ გომონთან გერმანელებმა ფრანგები თავიანთი პოზიციებიდან ვერ ამორეკეს. ფრანგებმა თავიანთი კონტრ-იერიშებით შეაჩერეს გერმანელთა შემოტევა კორის ტყეში, რომლის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ფრანგების ხელშია. კორის ტყის აღმოსავლეთით რამდენიმე საშინელი იერიშის შემდეგ, რომელმაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა, გერმანელები შეიჭრენ ვოვრილის ტყეში. ორნის ჩრდილოეთით გერბებუასთან, გერმანელთა იერიშები ფრანგებმა შეაჩერეს. მაასის მარცხენა ნაპირზე ქვეითა ჯარებს შეტაკება არ მოსვლიათ. არც ორნსა და ფრომეზს შუა მომხდარა ქვეითა ჯარების შეტაკება. ალზასში გუშინ საღამოს გერმანელებმა იერიში მოიტანეს ფრანგების პოზიციებზე კარსპაკის ტყის სამხრეთ აღმოსავლეთით და ალტკირხეს სამხრეთ დასავლეთით. კონტრ-იერიშების წყალობით ფრანგებმა უკან დაიბრუნეს იმ სანგრების მეტი წილი, რომელიც წინა დღეებში გერმანელებმა დაიჭირეს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 თებერვალი. საფრანგეთში მომქმედი ინგლისელთა ჯარის მთავარი სადგომი. ლაბასეს არხის მიდამოებში საარტილერიო სროლაა. იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ბატარეებმა საკმაო ზიანი მიაყენეს მტრის პოზიციებს. ჩვენს მარცხენა ფრთაზე გავფანტეთ მტრის მუშები. აფეთქებულ ადგილის ხელში ჩასაგდებად მოსული გერმანელები გავფანტეთ ყუმბარებით.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 თებერვალი. თემთა პალატა. ბალფურმა განაცხადა, ხმელთა შუა ზღვაზე მომქმედ ფლოტის უფროსად დაინიშნა ფრანგი ადმირალი ფურნიე. ჰერცოგი აბრეცისა ადრიატიკის ზღვაზე ხელმძღვანელობს საზღვაო მოქმედებას. თუ რამდენად მარჯვედ მიჰყავთ საქმე, ეს იქიდანაც სჩანს, რომ დღემდე არ შეუწყვეტიათ ჯარების გადაზიდვა სალონიკში.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 10 თ-ებერვალი. როგორც ცნობები მოდის, მარტის რიცხვებში კრონპრინცი მოვა სოფიაში, და სტამბოლში. მისი მოსვლა იმაში მდგომარეობს, რომ ორივე სახელმწიფო აიძულოს ბალკანეთზე განაახლონ მოქმედება.

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲘ, 10 თებერვალი. რუსთა გემები ჩინებულად ასრულებენ თავიანთ მონდობილებას ზღვის ნაპირებზე. საოცრად იღებენ ნიშანში ოსმალთა პოზიციებს და მით საშუალებას აძლევენ ხმელეთით ქვეითა ჯარს წინ წასასვლელად.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 10 თებერვალი. საგანგებო კომისიამ განიხილა ინგლისისა და საფრანგეთის საფინანსო მდგომარეობა. ეველინ სესილმა და ჟენვიევრიე-დეელევმა დაწვრილებით მოახსენეს ცნობები ხსენებულ სახელმწიფოთა ფინანსების შესახებ, თუ ომში რაოდენი ხარჯი მიდის, ან რა იმედი უნდა ჰქონდეთ მომავალში.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲘ, 9 თებერვალი. ყველანი ჰფიქრობენ, რომ ინგლისელები და ფრანგები გაზაფხულზე შეუტევენ ბულგარეთს და კრიტიკულს მდგომარეობაში ჩააგდებენო. გერმანელთადმი ნდობა ქარწყლდება, ძველებური სიხარულით არ ეგებებიან.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲒᲘᲓᲐᲜ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲘ.

სევასტოპოლის ქალაქის უფროსმა შემდეგი განკარგულება გასცა: მცხოვრებთ გავახსენებთ, რომ უცვლელად აღასრულონ სევასტოპოლის ციხის უფროსის ბრძანება 1914 წლ. 21 ღვინობისთვეს გამოცემული და საღამ-საღამოთი, ყოველგვარი სინათლე ჩააქრონ. ეხლა ვაფრთხილებ ყველას, შესაძლებელია ომიანობის გამო საჭირო გახდეს სევასტოპოლსა, ბალაკლავსა და მათს მიდამოებში სრულებით მოსპოთ ელექტრონით განათება. ამისათვის ყველა დაწესებულებას, სამრეწველოებს და მცხოვრებთ ვაფრთხილებთ, ამთავითვე შეიძინონ ნავთი, ნავთის ლამპები და სანთელი, რომ მთლად ბნელაში არ დარჩნენ.

ᲚᲘᲛᲐᲜᲘ ᲡᲐᲜᲓᲔᲠᲡᲘ.

„რეჩი“ დიდ მნიშვნელობას აძლევს ლიმანის მთავარ-სარდლად დანიშვნას კავკასიის ფრონტზე. უნდა ველოდეთო, ამბობს „გაზეთი, ეს ამბავი ისე არ ჩაივლის და მალე ფართო ოპერაციების მოლოდინში უნდა ვიყოთ, რის მზგავსიც ჯერ არ ყოფილიყოს მაელს ამ მხარეშიო...

ᲒᲐᲚᲘᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ.

ავსტრიელთ გალიჩი დიდად გაუმაგრებიათ. რაც ფორტები დაინგრა რუსთა მიერ პირველ იერიშების დროს, ხელახლა აღუდგენიათ და მძიმე არტილერიით შეუიარაღებიათ. სამხრეთით დნესტრამდე და ვნილაია ლიპას ჩრდილოეთამდე რამდენიმე წყება სიმაგრეები აუგიათ. ქალაქის მახლობლად გაუმაგრებიათ ხიდის ყური, სიმაგრე ორივე მხრით გადარკალულია დნესტრზე. თვით ქალაქში ციხედ გარდაუქმნიათ ისტორიული მთა. „რუსკი ინვალიდი“ სწერს: „რაკი გერმანელები ასეთ დიდ მზადებაში არიან, უნდა გაზაფხულამდე ყველა მოკავშირეებმა ერთხმად იერიში მივიტანოთ, რომ გეგმა შევუშალოთ მათს ფართო განზრახვებსაო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ.

ნიუიორკიდან ცნობა მოვიდა: აქედან გასულ ფრანგთა გემმა „ესპანმა“ როდესაც ჩასხა მგზავრები, სწორედ ისეთივე გაფრთხილება მიიღო, როგორც „ლუზიტანიამ“ ნავთსადგურიდან გასვლის დღეს. გემი არ შეუშინდა მუქარას. საფრთხეს მოლოდინში არიან.

ᲕᲔᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.

„რეჩი“ სწერს. „გერმანელთა განზრახვა, რომ ვერდენის რაიონში ფართო შეტევას დავიწყებთო, მართლდება უკვე. რომ ვერდენს დასცემოდნენ ერთი მხრით, ხოლო მეორეთი ფრანგთა ჯარების მარჯვენა ფრთისთვის შემოევლოთ, გერმანელებს ოცდა ათ დივიზიამდე მოუყრიათ თავი. თუ ამას რეზერვებს დავუმატებთ, გამოვა რომ ამ საგულისხმიერო ოპერაციაში უკანასკნელი 40 დივიზიამდე მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც უხელმძღვანელებს თვითონ კრონპრინცი. იერიშის მიტანას, როგორც სჩანს, აპირებენ მაკენზენის მთავარი გეგმით: ჯერ ქარიშხალისებურს ცეცხლს აჩენენ აუარებელი არტილერიიდან, ხოლო შემდეგ იერიში იწყება ფრთებით. ეს ბრძოლა მოხდება კარგა მანძილზე, უკანასკნელი 50 ვერსის გასწვრივ და მოხდება უსაშინელესი სისხლის ღვრა, რაიც ჯერ დასავლეთში არ დანახულიყვეს დღემდე.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲝᲠᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘ.

ამ ომში ყველაზე ცივად ინგლისელები უყურებენ საქმის მსვლელობას. ერთ კორესპონდენტს პეტროგრადში რო შეეკითხენ, როგორ ჰგრძნობენ ინგლისში თავსაო, ამაყად უპასუხა: ძალიან კარგად, გვწამს, გავიმარჯვებთო. როცა ჰკითხეს, რის იმედითო, უპასუხნია: ეხლა გაცილებით მეტი ჯარები გვყავს და იარაღიც აუარებელი შევიძინეთ. თუნდაც ყველანი შეურიგდნენ გერმანეთს, ჩვენ ჩვენს ჯარებს მეტროპოლიაში გავიხმობთ და იმდენ ხანს ვებრძოლებით, ვიდრე სულს არ ამოვხდითო. ბოლოს ჰკითხეს, როდის დაიწყებთ ფართო შეტევასაო, მან უპასუხა: ეს ჟოფრის სურვილზეა დამოკიდებულიო, გერმანელები აჩქარდნენ: ჟოფრის სურვილს არ მოუცადეს.

ᲒᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ.

„Mor. Post“-ი იუწყება 5 თებერვლიდან, გერმანელებმა მთავარი ძალები გალიციის ფრონტზე გადაჰგზავნეს, აგრეთვე 12 დიუმიანი ზარბაზნებიც გადაზიდესო. ამას არ აკმაყოფილებენ, ახლო მომავალში გაგზავნილ უდიდეს კალიბრის არტილერიას ფართო ოპერაციის დასაწყებადაო.

ᲘᲖᲔᲠᲘᲡᲙᲔᲜ.

„Echo de Paris“ იუწყება, გერმანელები ჯარებს ჯარებზე ჰგზავნიან იზერისკენ, თანაც აუარებელი ცემენტი და ნაფოტი გადაალვთ. ჰფიქრობენ, იზერზე გადასასვლელად ემზადებიან გერმანელები და ეს მოძრაობაც სწორედ ამისი მომასწავებელიაო.

ᲓᲕᲘᲜᲗᲐᲜ.

4 თებერვალს ღამე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დვინის მახლობლად ცეპელინი გამოჩნდა; რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო რუსების ბანაკის წინ. ყუმბარები გასკდა და მთლად ამოაბრუნა მიდამო რუს-გერმანელთა სანგრების შუა. რუსებმა ზარბაზნები დაუშინეს. ცეპელინი ღამის წყვდიადში მიეფარა.

ᲢᲧᲕᲔᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ.

გერმანულ წყაროებიდან იუწყებიან, ამ ჟამად გერმანეთში 1 მილიონ, 429,971 ტყვეა ჩამოყვანილიო.

ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚᲘ ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ.

ვენიდან ჟენევაში ატყობინებენ, ბელგრადის ავსტრიელმა გუბერნატორმა განუცხადა ამერიკის ელჩს, სერბეთი აღარ არსებობს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და, გთხოვთ, მიბრძანდეთო. ამის შესახებ ელჩი ვაშინგტონში შეეკითხა თავის მთავრობას, როგორ მოვიქცეო.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲕᲘᲐᲓᲝᲑᲐ.

„Frank. Zeit.“-ში დაბეჭდილი სასენსაციო წერილი, სადაც ნათქვამია, უნდა ვაიძულოთ ჩვენი მტრები, რომ საბოლოოდ დამარცხებულნი არიანო. ჩვენს მტრებს არ უნდათ დაიჯერონ ეს დამარცხება, სწერს გაზეთი,—ჰფიქრობენ, შიმშილით მაინც მოგვახრეკინონ ქედი, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ეს შიმშილი მხოლოდ მათს ფანტაზიაშია წარმოშობილი, რომ მას ადგილი არა აქვთ სინამდვილეში. ყოველ შემთხვევაში რანაირ შეხედულებისაც არ უნდა იყვნენ მოკავშირენი, გერმანელთა გარდაწყვეტილება მაინც შეურყეველია! თუ დროებით დაღონებულნი ვართ, მხოლოდ იმიტომ, რომ გარდამწყვეტ მოქმედების მოლოდინში ვართ. ჩვენ ველით და ვიცით კიდეც, სახელოვნად დაგვირგვინდება იგი. ჩვენი სურვილია ჩვენი იარაღის ძალას ვგრძნობდეთ არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი მტრებიც. ბრძოლის დროებითი შეწყვეტა სასტიკ ბრძოლის წინასწარმეტყველებას მოასწავებს, რაიც ამ ახლო მომავალში დაიწყება. ფრანგები ჰფიქრობენ, რომ მათ ჯერ ჩვენი მახვილის სიმწვავე არ უგრძნიათ. ძალიან კარგი, თუ კი არ კმარა, მაშ ვაგრძნობინებთ კიდეც, რომ ეს ილლუზია გავუფანტოთ, ამ ილლუზიასაც მალე მოეღება ბოლო. გვწამს, ჩვენ საკმაო ძალა შეგვწევს და მომენტიც შორს არ არის მის გასაქარწყლებლად.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

„ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველის აზრით გერმანელები ფარტო შეტევას იწყებენ ჩრდილოეთისკენ საატახტო ქალაქის დასაჭერად. იგი-ნიო,—ამბობს მიმომხილველი,—დაბრმავებულნი არიან ცრუ იმედებით, ვითომც ამ ლაშქრობით და გამარჯვებით აიძულებდნენ რუსეთს ზავის ჩამოსაგდებად. რაც შეეხება დასავლეთს, აქეთ რუსთა ყურადღების ასაბნევად დემონსტრაციებს ახდენენ, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე.

—

ბუქარესტიდან მოსული ცნობების თანახმად ახალგაზდა ოსმალთა მთავრობას გარდაუწყვეტია სომხეთისაკენ გადიყვანოს რაც კი თავისუფალი ჯარი მოეპოვება.

—

ინგლისელთა და ფრანგთა სამხედრო [illegible] ზარბაზნები დაუშინეს სმირნის [illegible] ციხეებს. აგრეთვე ყუმბარები დაუშინეს სირიის სანაპიროებს.

—

ბუქარესტიდან იტყობინებიან, ინგლისელთა წყალქვეშა შეიპარა დარდანელში და სტამბოლის ნავთსადგურში ამოჰყო თავი, სადაც რამდენიმე ხომალდი დაჰღუპა და მშვიდობიანად დაბრუნდაო.

—

რუსი სამხედრო მიმომხილველი შუმსკი ამბობს, ვერდენისაკენ შეუძლებელია გენერალური ბრძოლა დაიწყოს. რადგანც ამისთვის გერმანელთ საკმაო ძალები არ მოეპოვებათო. მთელს ასპარეზზე მათ მხოლოდ თავდაცვა შეუძლიანთ და არა შეტევაო.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

მთავარი შტაბის დეპეშის მიხედვით გერმანელთა არტილერია მეტს სიცხოველეს იჩენს რიგის რაიონში, განსაკუთრებით მის მარცხენა ფლანგზე. ორთავე მხრიდან მძიმე ზარბაზნები აახმაურეს. გერმანელები არ ერიდებიან ყუმბარათა ხარჯვას. ასეთივე საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს დვინსკის რაიონში, განსაკუთრებით იქსკიულთან. გერმანელები მთელ სამ მხარეზე აფართოვებენ მოქმედებას. დვინა-ოგერ-პრობოტინჰოფს ჰაეროპლანები არ უსვენებენ და ყუმბარებს უშენენ. მათი ჯარების არაჩვეულებრივი მოძრაობა ჰმოწმობს, რომ მათ ისევ ძველ განზრახვისთვის ჯერ კიდევ არ დაუნებებიათ თავი, რათა რუსთა ჯარებს მარცხენა ფრთით მოუარონ რიგის პოზიციებზე.

თუ ამ მხარეზე ასეთი გაჩქარებული ტემპით მიდის ჯართა მოძრაობა, თუ ორთავე მხარემ დიდ ზარბაზნებსაც მიჰმართეს სამაგიეროდ გალიციაში დემონსტრაციით კმაყოფილდებიან, ეს კია, რომ ფარულ და პატარ-პაატრა შეტაკების იქით უნდა ველოდეთ დიდს ქუხილს, რადგანაც ამ მხარის კამპანიისთვის ჯერ მთლად არ მოუცლიათ ავსტრო-გერმანელთ და ჯერ კიდევ უდიდეს ზარბაზნებისა და ჯარების ზიდვაში არიან. ორთავე მხარე, რუსებიც და ავსტრია-გერმანელებიც გაზაფხულისთვის ემზადებიან და მაშინ გადასწყდება კიდეც ერთხელ და სამუდამოდ ამ მხარეზე გამნადგურებელ მარსის ცეკვის ბედი.

მაგრამ ამათთან შედარებით ისევ საფრანგეთის ასპარეზია საყურადღებო. უკვე პარიზიდან მოსული ცნობები ამართლებენ ხმებს, რომ გერმანელები არ ხუმრობენ და რომ ვერდენის ასპარეზით მთელ 40 კილომეტრის გასწვრივ ფართო შემოტევა დაუწყვიათ. როგორც ვიცით გუშინწინდელ დეპეშიდან, აქ გერმანელებმა ძვირად დაისვეს გამარჯვება, მაგრამ მით მაინც 800 მეტრით წაიწიეს, პირველი წყება თხრილებისა მთლად ნანგრევებად აქციეს. არა ნაკლებ საყურადღებო დეპეშა მოვიდა გუშინ. გერმანელთ შეტევა გაუფართოვებიათ, შეუწყვეტლივ ჰქუხან უდიდესი ზარბაზნები ძელენკურიისა და ეტიენის შუა. ბრძოლა ამ ადგილებში ერთ ადგილზე ერთ ადგილზე ერთ ადგილზე

ბანსიურ-მეზისა და ორონის შუა ორი დღის შეუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ გერმანელთ წარმატება დაეტყოთ და ხელთ იგდეს ვავრილის ტყე კორის ტყის აღმოსავლეთით. ბრძოლა ვერდენთან, რასაც თვით ფრანგები მოელოდნენ დიდი ხანია, ჯერაც არ შეწყვეტილა.

საზოგადოდ მთელს ფრონტზე არ არის ადგილი, სადაც გერმანელთ გაცოფებული იერიშები არ დაეწყოთ. რა იქნება? არის ეს გარდამწყვეტი ბრძოლა? მიმომხილველნი აზრთა შეჯახებაში არიან. „ტაიმსის“ მიმომხილველი ამბობს, ეს მხოლოდ ფართო დემონსტრაციებია, ნამდვილად კი რიგადღეინი აქვთ გერმანელებს ამონიშნული, რათა ჩრდილოეთში სატახტო ქალაქი დაიპირონ და ვითომც ამითი აიძულონ რუსეთი სეპერატიულ ზავზედ. მაგრამ ამის საწინააღმდეგო აზრებსაც გამოსთქვამენ, პირიქით, გერმანეთი სცდება საფრანგეთთან გაასწოროს საქმე, ვინაიდან ომის ბედის გარდამწყვეტი არის არა რუსეთი, არამედ საფრანგეთი და ინგლისი, რომელთაც ცოცხალ ძალის გარდა აუარებელ იარაღს მოუყარეს თავიო.

საზოგადოდ მდგომარეობა გართულებულია. ჰაერი დამძიმდა. ხუთი თვის შესვენებამ ტიტანიურ ძალთა მოკრებაში გაიარა. ორთავე მხარე ამჟღეთ სცოცხლობს, ორთავე მხარე საოცარს ოპტიმიზს ეძლევა, გამარჯვებული ჩვენ გამოვალთო. ამასობაში დიპლომატიური ფარშუბის ჩხარუნიც არ ასვენებს ნეიტრალ სახელმწიფოებს: რუმინეთი, საბერძნეთი და შვეცია, აი ის სამი ჯადოსანი დობილი, რომელნიც მებრძოლთ აღიზინებენ თანიანთ სფინქსისებური მეტყველებით და ორთავეს სიზმრებს უფრთხობენ.

კავკასიის ფრონტიდან საყურადღებო ამბავი არა მოსულა რა. დეპეშა ხოლოდ იმას გვეუბნება, ოსმალთა ჯარების დევნას განვაგრძობთო და ეერჯერობით მხოლოდ ამ ცნობით ბაყოფილდება.

X.

დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

სათათბიროს სახელმწიფო ეროვნულ ჯგუფთა საერთო დეკლარაცია არ შესდგა, რადგანაც პოლონელებმა მონაწილეობაზე უარი განაცხადეს იმ მოსაზრებით რომ პოლონეთის საკითხი საერთაშორისო საკითხად არის გადაქცეულიო.

სტამბოლის პატრიარქმა გერმანმა პატრიარქო ეპისტოლე დაუგზავნა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს ზავის თაობაზე.

გ. ვ.

ასაბუთებას; ამის შესახებ ჩვენ კვლავ ვიგვიხდება შემდგომ ბაასი. ახლა კი საჭიროა მხოლოდ იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ამ დროიდან, ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, დაიბადა უკმაყოფილობა და გაჩაღდა ბრძოლა სასწავლებელთა კორპორაციის და ჩვენ საზოგადოების უკმაყოფილო ელემენტთა შორის, რამაც ხელი შეუწყო ქართულ გიმნაზიის საკითხის დამაბნეველ განხილვას და მის უმწეო და უნუგეშო დგომარეობის ნამდვილ მიზეზთა გაარკვევის შეფერხებას და დაჩრდილვას.

მართლაც და, თქვენ თუ გულდასმით გადიკითხავთ ამ ხანის ლიტერატურას ჩვენ გიმნაზიის შესახებ და ყურადღებით მის საერთო ხასიათს, ეამჩნევთ და დარწუნდებით კიდევაც, რომ მის გარშემო ატეხილი პოლემიკა ორად იყოფება ორს უმთავრეს ნაწილად: ეს ერთი მათგანი არ არის კმაყოფილი სათავად-აზნაურო გიმნაზიის ამჟამინდელ მდგომარეობით; ორივენი ამბობენ მის უიმედო და უმწეო დგომარეობას, მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ მიუქცევია ყურადღება მთავრესს მიზეზთათვის; ვერც ერთი მათგანი ვერ ჩასწვდომია საქმის სიღრმეს, რადგანაც ეს პოლემიკა ტარებულია ამ ორ ბანაკთა შორის ატეხილ ბრძოლის ბურუსით.

ერთი მათგანი სცდილობს მთელი ბრალი მოახვიოს თავზედ მასწავლებელთა კორპორაციას და დღევანდელი ჩვენი სკოლის უვარგისობა ახსნას მასწავლებელთა უვარგისობით და უნიათობით.

სახელმწიფო სათათბირო

10 თებერვლის სხდომა.

(დასასრული)

მთავრობა ცდილობს ყოველ დღიური საკითხი ბუროკატიას გარდაეწყვეტინოს, რის წყალობითაც რამდენიმე თვით იგვიანებს ჯარისთვის საჭირო მასალის მიწოდება, უმიზნოდ იხარჯება ხალხის ფული და ქურდობა და მძარცველობა, ვითარდება. და თუ ამ გამეფებულ ქაოსში, სუსტს კვლავ იმედი აქვს საბოლოო გამარჯვებისა, მხოლოდ იმისათვის რომ დაობებულ ბიუროკრატიასთან ერთად ამოძრავეულია რუსეთის ცოცხალი საზოგადოებრივი ძალა. რუსეთი ეხლა დიად ისტორიულ ამბების წინაშე სდგას და მთავრობამ უნდა ძალღონე მოიკრიბოს, რომ გამოიყენოს საზოგადოებრივი ძალები, ამისათვის თვითონაც საზოგადოებრივობის სახე უნდა მიიღოს. უამისოდ ხალხის ძალღონის თავის მოყრა ვერ მოხერხდება და უარყოფითი მხარეებიც მით უმეტეს გაიზრდება, რაც უფრო ხანგრძლივ გასტანს ომი (მარცხნივ ტაშის ცემა).

ეფრემოვის აზრით მთავრობის დეკლარაცია ვერ შეეფერება დღევანდელ ისტორიულ ხანას და გაურკვეველ დაპირებას წარმოადგენს. საჭიროა, ქვეყანაში მშვიდობიანობა იყოს დამყარებული და ხალხი მთავრობას ენდობოდეს. რაც უნდა ცვლილებანი მოხდეს მინისტრთა საბჭოში, უნაყოფო იქნება, სანამ მინისტრები არ იქნებიან დამოუკიდებელნი და ხალხის წინაშე პასუხისმგებელნი (მარცხნივ და ცენტრის ნაწილში ტაშისცემა).

11 თებერვლის სხდომა.

პროტოპოპოვი თავმჯდომარეობს.

მთავრობის განმარტების გახილვას განაგრძობენ.

კარაულოვი დამოუკიდებელ სახალხო ჯგუფის სახელით ლაპარაკობს. სახელმწიფოს აუცილებელ საქმეთა მოსაწესრიგებლად აუცილებლად სცნობს, სათათბიროს ხანგრძლივ მუშაობას, რადგანაც მთავრობის მოქმედება დაქაქსულია, მინისტრები ჩარდილებივით იცვლებიან. საჭიროა პასუხისმგებელი სამინისტრო, საჭიროა მართვა-გამგეობის შეცვლა, რადგანაც მხოლოდ თავისუფალ რუსეთს შეუძლიან გამარჯვება. (ტაშის ცემა მარცხნივ).

გარუსევიჩი პოლონელთა კოლოს სახელით ლაპარაკობს. ომის დაწყებიდანვე პოლონეთი თავის დამოუკიდებელ არსებობისათვის მებრძოლად გამოვიდა და ამ გზას პოლონელები არასდროს არ გადაუხვევენ. ეს არის საძირკველი დამოუკიდებელ პოლონეთის პოლიტიკური მიმართულებისა, ისტორიის მიერ დადასტურებული.

პოლონელებს სანანურად რჩებათ, რომ მინისტრთა საბჭოს დეკლარაციით არ ისპობა პოლონელთა ყოველი ეროვნული და საეკლესიო შეზღუდვანი მთელს იმპერიაში.

თევკელოვი მუსულმანთა სახელით აცხადებს: მუსულმანთა მდგომარეობა ომიანობის დროს უფრო გაუარესდა. მუსულმანები პროგრესიულ ბლოკის მოთხოვნილებას ემხრობიან და მოითხოვენ გაუქმდეს ყოველგვარი ეროვნული და სარწმუნოებრივი შეზღუდვანი, სარწმუნოების გამოცვლა არ იდევნებოდეს და სათათბიროს არჩევნების წესი შეიცვალოს.

ფრიდმანი ებრაელების სახელით მოითხოვს, რომ ებრაელების დევნას ბოლო მოეღოს.

პაპაჯანოვი აცხადებს: სომხები მუდამ მზად არიან მსხვერპლად შეეწირნენ რუსეთის კეთილდღეობას. სომხებს, აზრუმის დამხობის შემდეგ, სწამთ, რომ რუსეთის არწივის მფარველობით კვლავ აღსდგება სომხეთის ეროვნული ცხოვრება თავისს ძველს ფარგლებში —ოსმალეთის სომხეთში, სადაც ყოველი მტკაველი მიწა მათი სისხლითაა მორწყული და სადაც ყოველი ქვა ჰღაღადებს მათს უმაღლეს კულტურულს წარსულს (ტაშის ცემა).

ზალიტი ლატიშების სახელით ლაპარაკობს. ბალტიის მხარეში საჭიროა დაუყოვნებლივ შემოვიღოთ ერობა, საჭიროა ხაზინამ აუნაზღაუროს ხალხს ომისაგან მიყენებული ზარალი. სასურველია, რომ მთავრობამ თავისი სიტყვა საქმედ აქციოს.

კავალევსკი ეჭვის თვალით უცქერის მინისტრების მიერ დასურათებულ საგარეო პოლიტიკას. მხოლოდ რუმინეთთან და საბერძნეთთან შეთანხმებით გარიგდება რამე ბალკანეთში. მსოფლიო ომში პატარა სახელმწიფოებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. შვეციასა და ესპანიას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. პოლონეთისა და სომხების შესახებ კავალევსკი იზიარებს გარუსევიჩისა და პაპაჯანოვის აზრს.

ჩხენკელი ასწერს ბათომისა და ყარსის ოლქში მომხდარ ამბებს და აღნიშნავს რომ აჭარლები ძალით აჰყარეს და გააძევეს ოსმალეთში. მათი კარ-მიდამო გადაბუგეს, აოლა-დიდება დაიტაცეს. ამ ამბავმა გულის სიღრმემდე ააშფოთა მთელი ქართველი ერი, ეს ამბები თავის დროზე ვაცნობე ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლებს, სათათბიროს ფრაქციას და გაზეთებს. ჩხენკელი ბოლოს კითხულობს ს.-დემ. ფრაქციის განცხადებას, თანამედროვე მდგომარეობის გამო და დღევანდელი მთავრობის შესახებ.

კითხულობენ კავკასიის ჯარის მთავარსარდლის მისალმების დეპეშას, რომელსაც მთელი სათათბირო „ურას“ ძახილით და ტაშის ცემით შეეგება.

შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

კვირის სურათებიანი დამატება საგანგებოდ ეძღვნის შიო მღვიმელს. მოთავსებულ იქმნება შიოს სხვა და სხვა სურათები, ქართველ მოღვაწეებთან გადაღებული. შიოსადმი მიძღვნილი ლექსები: ვაჟა-ფშაველასი, დარია ახვლედიანისა, ია ქართველიშვილისა. ლექსი თვით შიო მღვიმელისა. სურათები აზრუმის, ჭასანკალეს სხვა და სხვა სანახაობისა. „მწყემსი დედოფალი“, ოსმალური ზღაპარი ალ. იაკ. ახალციხელისა და სამი კარიკატურა.

მეორე მხარე კი, გამოლაშქრებული პირველის წინააღმდეგ, სცდილობს, მასწავლებელთა დასაცველად, მონახოს იმგვარი მიზეზები ჩვენი სკოლის და საერთოდ ჩვენი ცხოვრების არსებაში, რომელნიც განათავისუფლებენ საპედაგოგიო საბჭოს კორპორაციას ამ ბრალდებისაგან და იმავე დროს არას ავნებენ და არ შესცვლიან მის დღევანდელ მდგომარეობას.

ერთი სიტყვით—სასკოლო საკითხი —მასწავლებელთა კორპორციის მომხრეთა და საზოგადოების ოპოზიციურ ელემენტთა შორის ატეხილ ბრძოლისა და უთანხმოების საკითხად გადაიქცა. და ვგონებთ, რომ ჩვენი სკოლის მემატიანე ამ გამწვავებულ, მაგრამ შინაარსით უფერულ ხანის პოლემიკაში არსებითად ვერას ჰპოებს ჩვენში სასკოლო საკითხის გამოკვლევისათვის და გადაწყვეტისათვის.

ამგვარია უმთავრესი თვისება და არსებითი დამახასიათებელი მხარე რევოლიუციისა და მის შემდგომ რეაქციის დროინდელ პოლემიკისა ჩვენ გიმნაზიის შესახებ.

რაც შეეხება რევოლიუციის და რეაქციის შემდგომ წლების ლიტერატურას ქართულ პრესის ფურცლებზედ და საერთოდ ჩვენ საზოგადოების დღევანდელ საქმიანობას სწავლა-განათლების დაგრში—აღსანიშნავია მეტად საყურადღებო და საგულისხმიერო ცვლილებანი. მაგრამ, ვიდრე ჩვენ შეუდგებით ამ, აგრედ წოდებულ თვით დაკვირვებითი ხანის განხილვას, საჭიროდ მიგვაჩნია უპირველეს ყოვლისა მოკლედ მაინც შევეხოდ ჯერ მე-XIX საუკუნის პოლემიკას ჩვენ გიმნაზიის შესახებ და ავღნიშნოდ მისი უმთავრესი და დამახასიათებელი მხარეები.

მოგეხსენებათ, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მერვე კლასი მხოლოდ 1899 წელს გაიხსნა, ე. ი. დღიდან მის დაარსებისას ოცის წლის შემდგომ. მეხუთე, ანუ პირველ გიმნაზიულ კლასის გახსნა-კი მხოლოდ 1895 წელს გადასწყვიტეს. ასე რომ მთელ ამ ოციოდე წლის განმავლობაში ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებულ და სრულ გიმნაზიის სახე. ამიტომაც, ჩვენ გიმნაზიის გარშემო ატეხილი იმ დროინდელი პოლემიკა უფრო პრინციპიალურ ხასიათისაა:

ქართველ საზოგადოებასთან ერთად ჩვენი სკოლის დამაარსებელთ და მის მესვეურთ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამორკვეული და საზოგადოდ გადაწყვეტილი ის საკითხი, თუ რაგვარი ხასიათისა და ტიპისა უნდა ყოფილიყო თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი. ამის გამო 1895 წლამდე განსაკუთრებით თქვენ არა ერთსა და ორს წერილს ამოიკითხავთ ჩვენი პრესის ფურცლებზედ, სადაც მხურვალე კამათი სწარმოვს „კლასიციზმისა“ და „რეალიზმის“ მომხრე—მოწინააღმდეგეთა შორის.

კლასიკურ გიმნაზიად, თუ სამეურნეო სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს ქართული სათავად-აზნაურო კერძო სასწავლებელი? აი ის მწვავე და დმუსრულებელი საკითხი, რომელსაც არა ერთი და ორი წერილი უძღვნეს ქართველ ერის იმდროინდელმა მესაიდუმლეებმა.

ახალი ამბავი

✦ შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილის მომწყობი კომისია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც უკვე განაცხადეს სურვილი დილაზე დაჩწრებისა და **მილოცვებში მონაწილეობის** მიღებისა, უსათუოდ უნდა მიიღონ **სადეპუტატო ბილეთი.** ბილეთეაის მიღება შეიძლება საჩაიე „ძმურ ნუგეშში“. დღეს, შაბათს, დილის 11—2 საათზე და საღამოს 6—11 საათზე. **არავითარი მოწვევა არავის არ დაეგზავნება.**

✦ თათბირი სასახლეში. გუშინ 11 თებერვალს დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი პირველ საჭიროებათა სანოვაგის შემოტანის შესახებ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწემ გენ.-ლ. იანუშკევიჩმა, სამოქალაქო ნაწილის—თ-დ ორლოვმა, მიწათ მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულმა შაშკოვსკიმ და სამხედრო მიმოსვლათა უფროსმა გენ.-ლეიტენანტმა კარპოვმა. მეფის ნაცვლის ბრძანებით ეხლავ უნდა მიღებულ იქმნეს სწრაფი ზომები სანოვაგის შემოტანის საქმის დონეზე დასაყენებლად. სხვათა შორის დადგენილ იქმნა 30 ვაგონის მაგიერ 40 ვაგონი დაინიშნოს ამიერ კავკასიის გზებზე განსაკუთრებით სანოვაგისთვის და სანოვაგის გამოზიდვა ფოთიდან ძლიერ დაჩქარდეს.

✦ მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ბ-ნ როძიანკოსაგან აზრუმის აღების გამო მოლოცვის დეპეშა მიიღო.

✦ მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და მათი მეუღლე 11 თებერვალს საქართველოს არქიელმა პლატონმა ინახულა.

✦ ტყვედ წაყვანილთა მზრუნველ კომიტეტმა დაადგინა, გაეგზავნოს გაგის კომიტეტს 1600 მანეთი და ლონისას 1000 მანეთი რუსეთის ქვეშევრდომ ტყვეების დასახმარებლად. აგრეთვე უგზავნის თბილისიდან ხორბალს, ლობიოს, ყველსა და ხმელს თევზს.

✦ ახალციხე-ახალქალაქის მაზრის უფროსებს თბილისის გუბერნატორმა ნება დართო 7,500 მანეთი მოახმაროს ამ მაზრებში მყოფ გამოქცეულებს.

✦ ომში დაზარალებულ პოლონელთა დასახმარებლად ხვალ, 14 თებერვალს, ფრანგთა წმ. პეტრე და პავლეს სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების კრებაა დანიშნული.

✦ საქართველოს ექსარხოსი პლატონი დღეს, 13 თებერვალს, 12 საათზე სამხედრო ტაძარში გადიხდის პანაშვიდს ომში მოკლულთა სულის მოსახსენებლად.

✦ პიროს ალავერდელი გაემგზავრა შუამთის მონასტერში, სადაც მუდმივ იცხოვრებს.

✦ გარდაიცვალა დირექტორი თბილისის კადეტთა კორპუსისა გენერალ-ლეიტენანტი ი. პ. ტომკეევი.

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი გარემოება: მე-XIX საუკუნეში ქართველ ინტელიგენციის ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმიანობის .სარბიელი გაცილებით უფრო ვიწრო იყო, დღევანდელ და საერთოდ მე-XX საუკუნის ფარგალთან შედარებით. და ამიტომ, გასაკვირველი არ არის, რომ თბილისის სათავად-აზნაურო ქართული სკოლა, დანარჩენ სხვა ქართულ დაწესებულებასთან ერთად ეროვნულ საქმედ მიაჩნდათ, რის გამოც მის გარშემო შემოკრებულნი იყვნენ ქართველ ინტელიგენციის და საერთოდ ჩვენ მაშინდელ საზოგადოების თითქმის სუყველა საუკეთესო ძალები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის საკითხი, თითქმის პარტიულ საკითხადაც გადაიქცა.

და სწორედ ეს გარემოება აორკეცებს ჩვენს ყურადღებას იმ დროინდელ პოლემიკისადმი.

მაშ—შევეხოდ ამ ხანის ლიტერატურას და შეძლებისა და გვარად აღვნიშნოთ ის დამახასიათებელი მხარეები და უმთავრესი საფეხურები, რომელიც განვლო ქართველ ინტელიგენციის და საერთოდ ქართველ საზოგადოების აზროვნებამ, ვიდრე თბილისის სათ.ავად-აზნაურო სასწავლებელი სრულ გიმნაზიად ჩამოყალიბდებოდა და მით ჩვენი ერის უკეთმართობას და ქართულ გიმნაზიის ტრაგიზმს უკანასკნელი წერტილი დაესმებოდა.

ამის შესახებ ჩვენ შემდგომ წერილში გვექნება ბაასი.

გიორგი მამრაძე.

✦ საეკვო შენობა. გუდოვიჩის ქუჩაზე დამთავრდა მატინოვის სახელობის სკოლის ახალი დიდი შენობა, რომელიც აშენებულ იქმნა ქალაქის ტეხნიკოსის ჩისლიევის ხელმძღვანელობით. ბ-ნ ჩისლიევს როგორც ვიცით ბრალდებოდა „კრუეოკის“ შენობის კატასტროფა. ამ მატინოვისეულ შენობაც ნიადაგისა თუ რის მიზეზით გაირღვა და თუ დროთი ყურადღება არ მიექცა შენობას ჩამოწოლა მოელის. ამისგამო ქალაქის გამგეობამ სწრაფი განკარგულება მოახდინა ქალაქის ტეხნიკოსების სახელზე დაწვრილებით გამოიკვლიონ ეს შენობა.

✦ საბლალოჩინო კრება. საქართველოს არქიელის პლატონის განკარგულებით ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქნება მთელი საეკლესიოს ბლალოჩინების კრება სხვა და სხვა საეპარქიო საჭირბოროტო საკითხთა განსახილველად.

✦ სამხედრო შტაბთან არსებული სამხედრო-სატეხნიკო კომიტეტი გააუქმეს.

✦ თათრული გამოცემა. თბილისის გუბერნატორმა ნება დართო ჯალალ-მამე-კული ზადეს კვლავ გამოსცეს დროებით შეჩერებული იუმორისტიული ჟურნალი „მოლლა ნასრედინი“ თათრულ ენაზე.

✦ შეერთებული კრება. ხვალ, 14 ამა თვეს, დღის 12 საათზე, თავადაზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში შეერთებული კრებაა დანიშნული, წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა საგანგებო კომისიებისა ილიასეულ საგურამოს მამულის საიჯარო პირობების შესამუშავებლად. ეხლა მეორედ ინიშნება ამ საგანზედ კრება, რადგან პირველი კრება 10 ამა თვეს არ შესდგა.

✦ ქართული ლექციები. წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ-გამგეობასთან არსებულმა ლექციების მმართველმა სექციამ გადასწყვიტა მოაწყოს ავჭალის აუდიტორიაში ლექციები საქართველოს ისტორიიდან. ჯერ-ჯეროობით მიწვეულია ლექციების წასაკითხად ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე. პირველი ლექცია გაიმართება 22 თებერვალს.

✦ ახალი სკოლები. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ-ნმა რუდოლფმა ნება დართო ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გახსნას 2 პირველ-დაწყებითი სკოლა ხულოსა და ხუცუბანში (აჭარა).

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა 11 ამა თვეს მისცეს ათ-ათი თუმანი ავადმყოფ აბაშელს, ევდოშვილს და ვ. შალიკაშვილს.

✦ შეწირულება. საქართველოს ეგზარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პლატონმა, 100 მანეთი შესწირა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას.

✦ ელისაბედ (ლიზა) ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულს 2 ამა თვეს შემოსავლის მხრივაც ჩინებულად ჩაუვლია. დღესასწაულის მომწყობ კომიტეტის ხაზინადარმა ბ-ნმა შიხინოვმა წარმოდგენის წმინდა შემოსავალი და საჩუქრების სახით შემოსული ფული, სულ 2.500 მანეთი, ჩაბარა ქ-ნს ჩერქეზიშვილს.

✦ შიო მღვიმელისათვის საჩუქრის სახით მისართმევად ხვალ, 14 ამა თვეს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას, როგორც ამბობენ, გადაუდგია 100 მან.

✦ დიდი თოვლი. თბილისში და მის ახლო მახლო დიდი თოვლი მოვიდა. თბილისში თოვლმა ტელეფონის მავთულები ბევრ ალაგას ჩამოსწყვიტა სიმძიმისაგან და ბოძები წაქცია. მავთულების ელექტრონმა კიროჩნი ქუჩაზე ერთი ცხენი მოჰკლა.

თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის განკარგულებით 300 მანეთი გადიდო ტელეფონის მოძრაობის აღსადგენად.

✦ საერობო კავშირმა. უკვე მოაწყო ერზერუმში საავადმყოფო დაჭრილ მეომართათვის.

✦ სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილის მთავარ უფროსმა პრინცოლდენბურგელმა ნება დართო ქალაქთა კავშირს $1^1/_2$ მილიონ მანათის ავანსად მიღების შესახებ.

✦ აზრუმში ამ თვის 18-ს მიემგზავრებიან ქალაქის კავშირის საავადმყოფოებისა და სხვა დაწესებულებათა მოსაწყობათ დაჭრილ მეომართა კომიტეტის თავმჯდომარე თ-დი ა. მ. არგუთინსკი დოლგორუკოვი და განმანაწილებელ გოსპიტლის მთავარი ექიმი ე. ი. მინასიანცი.

✦ როგორც გადმოგვცეს, ჩვენი **მსახიობი ვალერიან გუნია ავად არის.**

✦ ცხენების გაყიდვა. 17, 18, და 19 თებერვალს დილის ათ-საათზე საჯარო ვაჭრობა იქნება ამ-ადრო უწყების 156 ცხენებისა.

✦ დირექცია თბილისის ქალაქის ტრამვაისა საჯაროდ აცხადებს, რომ თავისუფალი ადგილები ტრამვაიზე აღარ არის.

✦ თბილისში ჩამოვიდა სტავროპოლის გუბერნატორი თ-დი ს. მ. ობოლენსკი.

✦ სესხი შავი ქვის მრეწველთ. მეფის ნაცვლის კანცელარიას ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ აცნობა, რომ შორაპნის მაზრის შავიქვის მრეწველთა საბჭოს ნება მიეცა სესხად აიღოს 300000 მანეთი 1916 წლის ხარჯების დასაფარად.

ოზურგეთი.

მკვლელობა. ქალაქ ოზურგეთში ამ დღეებში ვიღაცას მოუკლავს მიხეილ ნიკოლოზის ძე ზამბახიძე. ზამბახიძე მარტოხელა კაცი იყო, ის ღამით ქალაქიდან დაბრუნებულა ოჯახში, როცა სახლის კარს აღებდა მკვლელს მაშინ უსვრია მისთვის და წაქცეულისათვის მერმედ კიდევ შეშის ნაპობით გაუჩეხია თავი. მკვლელის ვინაობა არ იციან.

შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილა

შიო მღვიმელის (შ. ქუჩუკაშვილის) სადღესასწაულო დილა იმართება ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების თაოსნობით თბილისის სახაზინო თეატრში კვირას, თებერვლის 14-ს, **სწორედ** შუადღის 12 საათზე. დილა შესდგება ოთხ დიდ განყოფილებისაგან.

პირველ განყოფილებაში ექიმი ივ. გომართელი წაიკითხავს მოკლე მოხსენებას შიო მღვიმელის შემოქმედების შესახებ.

მეორე განყოფილება მილოცვებისათვის არის დანიშნული. მილოცვებს წარმოსთქვამენ ქართულ საკულტურო დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენლები, ბავშვები, აგრეთვე სხვა ერთა წარმომადგენელნიც.

მესამე განყოფილებაში გაიმართება მრავალფეროვანი დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობენ: „განათლების“ საზოგადოების სასწავლებლის და კ. ჩარკვიანის ბავშვთა მგალობელი გუნდი, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სასწავლებლის მოწაფე ბავშვები (როიალი, ვიოლონი, სიმღერა), ახალი კლუბის ორკესტრი; წაკითხულ იქნება (ბავშვების მიერ) შიოს რამდენიმე ლექსი.

მეოთხე განყოფილებაში დაიდგმის ცოცხალი სურათები შიოს ნაწარმოებიდან. სურათებსა სდგამს რეჟისორი ალ. წუწუნავა. ანტრაქტებში დაუკრავს ახალი კლუბის ორკესტრი.

დარჩენილი ბილეთები იყიდება ქართველ ქალთა საზოგადოების საჩაიე „ძმურ ნუგეშში ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოთი 6—11 საათამდე, ხოლო კვირას, თებერვლის 14-ს სახაზინო თეატრის კასაში.

დილის მთელი შემოსავალი გადაეცემა მგოსანს.

ბილეთები და მოსაძვევი ბარათები არავის დაეგზავნება.

† დავით რომანის ძე შველიძე

არ გვეგულება ისეთი ბაქოელი ქართველი, რომელიც არ იცნობდა ჩუმს და მეტად ნაყოფიერ საზოგადო მუშაკს ახლად განსვენებულ დათიკო შველიძეს. თუ კი დღეს ბაქოს ქართველობის საყურადღებო-საზოგადოებრივი ცხოვრება გვაიმედებს, ამ საქმიანობის გაცხოველებისთვის ერთთვალსაჩინო მუშაკთაგანად ითვლებოდა განსვენებული, ბოლო ხუთმეტიოდე წლის განმავლობაში.

ბაქოს ქართველობის საზოგადო ეროვნულ შეგნებულ ცხოვრებას საძირკველი ჩაუყარა იმ ქართულმა წარმოდგენებმა, რომლებიც, თავდაპირველად იქ იმართებოდა და რომლის გარშემოც თავს იყრიდა ყველა ის ქართველი, რომელსაც საზოგადო საქმისადმი გული ერჩოდა და ბოლო 15 წლის განავლობაში, ბაქოში რა ისეთი საღამო-წარმოდგენა უნდა გამართულიყო, რომ განსვენებულს უმთავრესი როლი არ ეთამაშა!..

ვინც კი გულწრფელად იზიარებს ჩვენი ხალხის თვითშეგნების გაცხოველებას, იმას უეჭველია ახარებს, ამ შეგნების საუკეთესო საშუალების—სახალხო თეატრების აღორძინებაც. და აი, აწ განსვენებული დათიკო შველიძე, 25 წლის განმავლობაში, მორიდებულის გულწრფელობით, უანგაროთ და გატაცებულის სიყვარულით ემსახურებოდა სახალხო სცენას, ჯერ

თბილისში (ავჭალის და ავლაბრის სცენებზე) და ბოლო 15 წლის განმავლობაში—ბაქოში, სადაც სამსახურის გამო იმყოფებოდა. ამ შვიდი-რვა წლის წინად, მისი 15 წლ. სახალ. სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად, მადლიერმა ბაქოს ქართველმა საზოგადოებამ გაუმართა საყურადღებო საღამო.

ჩვენ რამდენიმე წლის განმავლობაში ახლოს თვალს ვადევნებდით დათიკო შველიძის მუშაობას: თუმცა თვით დაწვრილშვილებული და ხელმოკლეც იყო, მაგრამ საზოგადო საქმისთვის დროსა და საკმაო ხალისს ყოველთვის შოულობდა და, როგორც ვსთქვით, ბაქოში ისეთი საღამო, ან წარმოდგენა არ განიზრახებოდა, რომ იქ პირველად დათიკო არ გაჩენილიყო. ის იყო უმთავრესი როლის ნიჭიერი აღმსრულებელიც, რეჟისორიც და ერთ-ერთი მომწყობთაგანიც.

საყურადღებო ნიჭის მსახიობი (განსაკუთრებით ჩვენებურ ტიპების გამიროვნებაში), დინჯი, სინიდისიერი და მოკრძალებული მუშაკი,—აი ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება გარდაცვალებულისა...

დარწმუნებული ვართ, რომ დათიკო შველიძის დაკარგვა გულწრფელად დაალონებდა ბაქოელ ქართველობასაც.

გ. ახალციხელი.

მცირე შენიშვნა

წმ. თამარ მეფის ტაძარი

ზოგი ჭირი მარგებელიაო,—ნათქვამია. და მართალიც არის. მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ჭირისუფალი გულმავიწყი არ არის და ცხოვრების გაკვეთილს გამოიყენებს.

1912 წელს გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკში“ ვინმე „ზიგზაგი“ შეეხო წმ. თამარ მეფის სახელს. მის სიწმიდეში ეჭვი შეიტანა. რასაკვირველია, მთელი ქართველობა აღშფოთდა. თავზედ ჰეროსტრატს შესაფერისი სახელი უწოდეს. გულნატკენი საზოგადოება ღირსეულად გამოესარჩლა იმ დიდებულ ადამიანის ხსოვნას, რომელსაც შვიდასი წლის განმავლობაში წმიდანთა შორის იხსენიებს.

არ დარჩენილა წოდება თუ ჯგუფი, რომ უზრდელ კალმოსანისადმი თავისი გულის-წყრომა არ გამოეცხადებინოს. სხვათა შორის ხმა აღიმაღლა ქართველმა სამღვდელოებამ. ორი ეპისკოპოსის, ორი არქიმანდრიტის და სწორედ ოცი მღვდელ - დეკანოზის ხელმოწერილი პროტესტი დაიბეჭდა „ზაკავკაზ. რეჩში“ (1912 წლ. 11 მაისი, № 108).

საქმე ამით არ გათავებულა. შესდგა წრე, რომელმაც თავს იდვა წმ. თამარ მეფის სახელობაზე ტაძრის აშენება საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში. იმ ჟამად საქმეს სათავეში უდგა ერთ-ერთი ქართველი, მაღალ ხარისხის სასულიერო პირი. გაიმართა ხელის მოწერაც. თვით თქვენს უმორჩილეს მონას, ამ სტრიქონების დამწერს ხელი უწერია შემომწირველთა სიაზედ. მახსოვს სხვებიც ყოვლად სამღვდელო დავით ეპისკოპოსმა გაზეთშიაც გამოცხადა („სახალხო გაზეთი“ 1913 წლ. № 977“): „ამ ჟამად მე გადამიდვია ამ საქმისათვის ასი მანეთი; ხოლო როცა ჩემი ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდება, მეტსაც მივაწვდი ამ საქმისათვისაო.“

ეს იყო და ესა. მაშინ გვეგონა, თუ ინოკენტი ექსარხოსი გვიშლიდა ხელსა... დრონი იცვალნენ. ალექსი ექსარხოსი ასეთ საქმეებში საწინააღმდეგოდ არ ერეოდა. ყოფილი ექსარხოსი, დღეს მიტროპოლიტი პიტირიმი თვით მომხრე იყო ქართველობის ეროვნულ საქმეებისა. ბარემაც ხელს შეგვიწყობდა ამ პაწია, მაგრამ საგულისხმო საქმეში!...

მაგრამ სიჩუმე ჩამოვარდი. რა მდგომარეობაშია დღეს ეს საქმე, ფართე საზოგადოებამ არ იცის. კეთდება რამე, თუ ამ საქმემაც ქართველურად თქვენი ჭირი წაიღო. ცოტად თუ საკმაოდ საქმის მცოდნენი ვალდებულნი არიან გაგვაცნონ საქმის ნამდვილი ვითარება.

ახელი.

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება

9 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შესდგა საზოგადოების წევრთა საერთო კრება. თავჯდომარეობდა უგ. თავ. პ. ა. გრუზინსკი. კრებამ თითქმის მთელი საღამო მოანდომა კამათს ბ-ნ ავდეევის შესახებ, რომელიც საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროს განაგებდა და საზოგადოების საბჭომ თანამდებობიდან დაითხოვა იგი. ზოგნი, განსაკუთრებით რუს-მოხელენი, ამტკიცებდნენ, ავდეევი საქმის კაცია, ბევრს მუშაობდა, უიმისოდ საზოგადოება არაფრად ეღირება და საბჭოს იმის დათხოვის ნება არ ჰქონდაო. სხვები-კი, მაგალითად, ე. ო. იოსელიანი, ს. ნ. ყაზახაშვილი, ი. გ. ალიბეგოვი და სხ., იმ აზრს გამოსთქვამდნენ, რომ ავდეევი აბეზარი კაცია, მის მოქმედებას ხეშირად არა საკადრისი ხასიათი აქვს, ამხანაგებთან ვერ თავსდებოდა და ვერც მას ეგუებოდნენ ამხანაგები, მუშაობითაც ბევრს არაფერს აკეთებდა და საბჭო იძულებულ ჰყო სამსახურიდან დაეთხოვა იგი და სამართლიანადაც მოიქცა იგიო. ბოლოს მომხრეებმა მოინდომეს ავდეევის რეაბილტაცია და, ისარგებლეს-რა თავიანთ მრავალ რიცხოვანობით, მოითხოვეს კენჭის ყრა საბჭოს მოქმედების შესახებ. მაგრამ თავმჯდომარემ ისარგებლა თავისი უფლებით, და განაცხადა საბჭოს სრული უფლება ჰქონდა ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცაო ავდეევის შესახებ და კრებას არ შეუძლიან საბჭოს მოქმედების გაასამართლოსო, ავდეევის მომხრეების წინადადება არ შეიწყნარა შესახებ კენჭის ყრისა, ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში საზოგადოების წლიური კრება იქნება და თუ გნებავთ, ეს წინადადება მაშინ წამოაყენეთო,—განაცხადა თავჯდომარემ. კრება დაიშალა ღამის 2 საათზე.

მეფუტკრეობა და ქართული სამეურნეო საზოგადოება

საერთაშორისო ომმა აუნაზღაურებელ ზარალთან ერთად ზოგი რამ სასარგებლოც შეგვძინა, ბევრი რამ კარგი გაკვეთილი მოგვცა. ჩვენი ცხოვრების ბევრი დუხჭირი მხარეები ომმა დაგვანახვა და თუ ომის დასასრულს მოვესწარით კიდევ შემდეგაც ბევრს დავინახავთ. ერთი რამ წინადაც ეტყობოდა ჩვენ ქვეყანას და ახლა უფრო მწვავედ ვიგრძენით. ეს არის ჩვენებური მეურნეობის სრული მოუწესრიგებლობა, ეკონომიური კრიზისი. მეურნეობის ყველა დარგი ჩვენში პრიმიტიულია, არც ერთ დარგს სამრეწველო ხასიათი არ აქვს და ეს ხდება შეუდარებელ სამეურნეო ქვეყანაში. არამც თუ გასაყიდი, ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელიც არ გვრჩება და საშინელ შიმშილის მოლოდინში ვართ.

ჩვენებური მეურნეობის აღორძინება იკისრა ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ, რომელმაც თავისი მოქმედება მარტო თფილისის გუბერნიით შემოფარგლა. ცხადია თუ თბილისის გუბერნიაში აყვავდება მეურნეობა და ის სამრეწველო ხასიათს მიიღებს ეგეც დიდი კაი საქმე იქნება და ქართული სამეურნეო საზოგადოებაც დიდს ღვაწლს დასდებს თბილისის გუბერნიის მცხოვრებთ.

ქართულ სამეურნეო საზოგადოებას უმოქმედობას ვერ ვუკიჟინებთ, პირიქით შედარებით მცირე ხნის განმავლობაში მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა.

სამწუხაროდ ამ საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია თბილისის გუბერნიაში მეფუტკრეობის გავრცელებას. საზოგადოებას თითქმის მეურნეობის ყველა დარგის ინსტრუქტორ-ხელმძღვანელები ჰყავს. მეურნეობის ყველა დარგის გაუმჯობესებას და აღორძინებას ცდილობს, მაგრამ ის სრულებით არ აქცევს ყურადღებას მეფუტკრეობას. ქართული სამეურნეო საზოგადოება მეფუტკრეობის გავრცელების იმედს ამყარებს კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებაზე. კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოება მართალია არც ერთ ეროვნებას არ ეკუთვნის, თავის წევრთა შემადგენელობით, ასე ვთქვათ, ინტერნაციონალურია, მაგრამ ის ჩვენთვის მაინც უცხოა, გამგეობისა და თვით წევრთა უმეტესობა უცხოელებია. მისი მეფუტკრე-ინსტრუქტორი ქართულის არ მცოდნეა და მაშასადამე ჩვენებური მეფუტკრეობის აღორძინების საქმეს ამ საზოგადოებაზე ვერ დავამყარებთ.

მეფუტკრეობა კი მეორე წლიდანვე კარგ შემოსავალს იძლევა. მეფუტკრეობა შეიძლება: ქართლში (გორისა და დუშეთის მაზრაში) და კახეთში.

ომის მიზეზით დღეს ფუტკრის ნაწარმოებსაც საზღაპრო ფასი დაედვა ტ გასაყიდიც აღარ იშოვება. ცვილი (სანთელი) ომიანობამდე ღირდა ფუთი 24 მანეთამდე, დღეს 45—50 მანეთი, თაფლი 7—9 მანეთამდი, დღეს 16—20 მან. ერთი ძირი სკა დადონ-ბლატისა ფუტკრით დაოჯახებული ჯდება 15 მანეთამდე. შემოსავალს მოგვცემს მეორე წელსვე და ერთმა ძირმა სკამ რომ 15—20 გირ. თაფლი მოგვცეს (ვანგარიშობთ სულ მცირეს), როგორც ხედავთ კარგი შემოსავალია. მეფუტკრეობის გავრცელება ხელს შეუწყობს მებაღეობა-მეხილეობასაც (ფუტკრების მიერ ყვავილთა ქორწინებით) და ეგეც-სასარგებლოა. მაშასადამე ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ მეფუტკრეობა მეურნეობის გერად არ უნდა დასტოვოს და მისი აღორძინება დედინაცვალს არ უნდა ჩააბაროს, არამედ თვით იკისროს მისი რაციონალურ ნიადაგზე დაყენება. ამისთვის-კი საჭირო იქნება ერთი ქართლისათვის და ერთი კახეთისათვის მეფუტკრე-ინსტრუქტორის მოწვევა, თვალსაჩინო ადგილებში სამაგალითო საფუტკრეების გამართვა, პრაქტიკული კურსების მოწყობა და სხვა. ყველა ეს უნდა მოეწყოს ადგილობრივ ხალხის გასაგებ ენაზე.

ჩვენს თავს ჩვენვე მივეპატრონოთ.

აპ წულაძე.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

შაბათს, 6 თებერვალს, მოხდა საზოგადოება „სინათლე“-ს კრება. კრებამ აირჩია სამი წარმომადგენელი თბილისში კულტურულ დაწესებულებათა კავშირის კრებაზე დასასწრებლად: იპ. ყიფიანი, ვ. ლორთქიფანიძე და კ. აბაშიძე.

ახალც. და ახალ-ქალ. მაზრა.

თბილისის გუბერნატორმა 7500 მან. კრედიტი გაუხსნა ამ მაზრების უფროსებს გადმოხიზნულთა დასახმარებლად.

ქ. თელავი.

7 თებერვალს მოხდა თელავ-თიანეთის თავად-აზნაურთა კრება. თავ.-აზნ. წინამძღოლის თანაშემწის და თბილ. სადეპ. თანხების სარევიზიო კომისიის ერთი წევრის ასარჩევად.

6 თებერვალს მოხდა თელავის მაზრის წვრილ-კრედიტთა წარმომადგენელთა კრება, სხვა და სხვა საკითხების განსახილველად.

8 თებერვლიდან ამინდი გამოიცვალა, თოვლი მოვიდა, აცივდა კიდეც.

ს. ნანეიშვილისეული (გურია)

აქ შარშან დაარსეს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამკითხველო. პირველად ჟურნალ-გაზეთებიც საკმაოდ მოდიოდა, ამ ბოლო დროს კი გაზეთებიც ნაკლებათ მოდის. საჭიროა სამკითხველოს საკუთარი გამგე ჰყავდეს.

აქ არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ორასამდე ბავშს იტევს.

ს. ბუკნარი. (გურია)

როგორც იქნა ვეღირსეთ სამკითხველოს ნებართვას. მსურველ პირთაგან შედგა დამფუძნებული კრება, გამგეობა აირჩიეს 5 კაცისაგან. ჯერ-ჯეროობით 45 წევრი ჰყავს. უმრავლესობამ სურვილი გამოსთქვა, საწევრო ფული მთელი წლის ამ თავითვე გადაიხადონ, რომ სამკითხველომ მოქმედება დაიწყოს.

ს. ძიმითი (გურია)

აქაურ მოწინავე პირებმა გახსნეს საკოოპერაციო დუქანი. ვაჭრობა სასურველად სწარმოობს.

ს. ზემო აკეთი. (გურია)

2 თებერვალს ადგილობრივ სამრევლო სკოლის დარბაზში მოხდა მომხმარებელ საზოგადოების „მშრომელთა შეღავათი“ს წევრთა დამფუძნებული კრება. დროებითი გამგეობამ გააცნო საზოგადოებას, თუ რა აკეთა მან დღემდის, წაიკითხეს წესდების თითოეული მუხლი, რომელიც საზოგადოებამ განიხილა და მიიღო.

ს. ლესა. (გურია)

აქაური კოოპერატიული სავაჭრო კარგ ნიადაგზე არის დამდგარი. გადაწყვიტეს აგრეთვე გახსნან განყოფილებაც.

ს. რგანი.

ს. რგანი დიდ გაჭირვებას განიცდის მუშა ხელის სიმცირით და შავი ქვის წარმოების შეწყვეტის გამო. უმეტესობა შიმშილობს მიუხედავათ ამისა რგანის საზოგადოებაში აკრიფეს ყველა სასოფლო გადასახადები და აგრედვე ხაზინიდან ნასესხები სიმინდის ფასის ორი მესამედი, რამაც ხალხი საბოლოოდ გაანადგურა.

აქ არსებობს კოოპერატიული საზოგადოება „სინათლე“.

მაჰმადიანთა ცხოვრება

გაზ. „კასპი“ს მოუვიდა შემდეგი დეპეშები შუშიდან: „ვწუხვართ ისეთ ადამიანის დაკარგვას, როგორც გაშიმ ბეგ ვიზიროვი იყო. ჩვენი მწუხარებაც შეუერთეთ თქვენს ცრემლებს. მუხლს ვიდრეკთ მის ნეშთის წინაშე“.

იუსუფ ზადე, მუნიშე.

გაშიმ ბეგის გარდაცვალების გამო გაზ. „სადი კავკაზ“ს მიუვიდა აუარებელი დეპეშები, სადაც დიდ მწუხარებას გამოსთქვამენ, საყვარელ რედაქტორის დაკარგვის გამო.

— თბილისიდან მაჰმადიანთა სცენის მოყვარეთა წრისაგან.

— გორის მაჰმადიან პედაგოგის ფრიდუენ-ბეგ ქაჩარლისაგან.

— ყარსიდან. მომხმარებელ საზოგადოებისაგან.

— ერევნიდან. მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოებისაგან.

— ყაზახიდან, სალიანიდან და სხვა კუთხეებიდან.

— ყარსიდან გაზ. „კასპი“ს სწერენ: ბაქოს მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოების განყოფილება შეუდგა გამოქცეულთა რაოდენობის აღნუსხვას, რომელიც გადაეცემა ბაქოს მომხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარეს.

სომეხთა ცხოვრება

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ბელეტრისტი ავ. აჰარონიანი.

—„ჰორიზონტ“-ის სიტყვით, თბილისში ხმა გავრცელდა, მუშიდან და ახლიდიდან ახალი გამოხიზნულები მოდიან კავკასიაში. უმრავლესობა ქალი და ბავშვია, რომელთაც ყველაფერი ესაჭიროებათ.

— თავრიზელი სომხები ფულს აგროვებენ ყარსის ოლქში ომისაგან დაზარალებულ მაჰმადიანებისათვის.

— სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებამ თელავში საჩაიე გახსნა.

რუსეთი

საგულისხმო ანდერძი.

კიევში გარდაიცვალა პოლკოვნიკი ჩარნეცკი. მას 200 მან. დაუტოვებია ჯილდოდ იმისთვის, ვინც საუკეთესო თხზულებას დასწერს შემდეგს თემაზე:

„შრომის აუცილებლობა ბედნიერებისთვის“. ამ თხზულებაში მეცნიერულად უნდა იყოს დამტკიცებული სოციალისტურ მოძღვრების უნიადაგობა. ამ ჯილდოს მიცემას გადასწყვეტს საგანგებო კომისია, რომელშიაც იქნებიან წარმომადგენელნი სამეცნიერო აკადემიისა, განათლების სამინისტროსი და უწ. სინოდისა.

ამ ანდერძის გამო სამეცნიერო აკადემიამ განათლების სამინისტროს აცნობა, ჩვენს წარმომადგენელს ამ კომისიაში ადგილი არ ექნება, რადგანაც განსვენებულის მიერ დაყენებულ საკითხს მეცნიერებასთან საერთო არა აქვს რაო.

ამის გამო ამ ჯილდოს მისჯა იკისრა განათლების სამინისტრომ და სინოდმა.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ანიმურ-ამიერკავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო-საქართველო თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს. წ.	
ბათომისკენ	სამგ. მ.	9	8.53	საღ.
„	საფ. „	3	9.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ. „	19-20	3.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი „	4	10.20	საღ.
„	ჩქარი „	6	12.8	დილ.
„	სამგ. „	8	11.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	11.13	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ. მ.	4	9.30	საღ.
„	სამგ. „	10	9.51	დილ.
ბაქოდან	საფ. „	3	9.3	დილ.
„	ჩქარი „	5	7.41	საღ.
„	სამგ. „	7	1.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ. „	19-20	7.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	8.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	. .	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლული-ამიერ	კავ.	9 „	23 „	„
ნავთლული-კახეთისა.		9 „	43 „	„
ვაზიანიდან	. .	10 „	42 „	„
იორიდან	. . .	11 „	35 „	„
საგარეჯოდან	. .	12 „	17 „	„
ბადიაურიდან	. .	1 „	15	დღის
მელაანიდან	. . .	2 „	37 „	„
გურჯაანიდან	. .	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან	. .	4 „	58 „	„
თელავში მიდის	.	5 „	35 „	„
გურჯაანიდან	. .	4 „	18 „	„
კარდენახიდან	. .	4 „	50 „	„
წნორის-წყალ.	მიდის	5 „	15 „	„

თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ

თელავიდან	. . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	. .	9 „	45 „	„
გურჯაანიდან	. .	10 „	46 „	„
მელაანიდან	. .	12 „	02 „	„
ბადიაურიდან	. .	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან	. .	2 „	15 „	„
იორიდან	. . .	2 „	53 „	„
ვაზიანიდან	. . .	3 „	40 „	„
ნავთლულ-კახეთ.	. .	4 „	31 „	„
ნავთლულ-ამიერ-კავ.		4 „	46 „	„
თბილისში მიდის	.	5 „	01 „	„
წნორის-წყალიდან	.	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან	. .	9 „	46 „	„
გურჯაანში მოდის		10 „	16 „	„

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

ფელიეტონი მეთოდრმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** ტ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი თ-ლ **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ“, ს. მრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„მეგ. **შოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები. რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

მაგრამ შესაძლოა ჩვენ ვცდებოდეთ: შესაძლოა ამ საქმის ინიციატორებს სახეში სვეტიცხოველი არა ჰქონებიათ, არამედ სხვა რომელიმე ტაძარი. მაშინ საჭიროა ეს ყოველივე დაწვრილებით თვით ქართველმა საზოგადოებამ ტ ქართველმა სამღვდელოებამაც იცოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი შესაძლოა ახალი საქორეპისკოპოსოს დაარსებამ

*) ახლანდელი ქალთა მონასტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდავს „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.